

ქ.თბილისი

2019 წლის 7 ივლისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 7 ივლისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა შვიდეკაცა რაგბის ტურნირის დირექტორის გ. ზაბახიძის განცხადება, მატჩის ოქმი და ვიდეომასალა, ამა წლის 30 ივნისს, შვიდეკაცა რაგბის ტურნირის მატჩზე, თბ „ლელო/სარასენსი“-სა და თბ „აკადემია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ლელო/სარასენსი“-ს მორაგბე თორნიკე ცერცვაძე და თბ „აკადემია“-ს მორაგბე მიხეილ აბრამიშვილი, ჩხუბის წამოწყებისთვის, გაძევებულ იქნენ მოედნიდან წითელი ბარათით მსაჯის მიერ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 291 პუნქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმად წითელი ბარათის მიმღები მოთმაშე ავტომატურად ტოვებს 1 (ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ თბ „ლელო/სარასენსი“-ს მორაგბეს თ. ცერცვაძეს და თბ „აკადემია“-ს მორაგბე მ. აბრამიშვილს, არ დააკისრა სრკ-ს სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული სხვა რაიმე დამატებითი სასჯელი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/